ბიზნესის განწყობის ინდექსი

5.5
შემცირება

ზამთარი მოახლოვდა!

IV კვ 2018

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი	მცირე და საშუალო
28	103

კვლევის ძირითადი შედეგები



- 2018 წლის მეოთხე კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) გაუარესდა და 29.9 პუნქტამდე შემცირდა, რაც 5.5 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის მაჩვენებელს. ბიზნესის განწყობის ინდექსის შემცირდება განპირობებულია როგორც მოლოდინების, ისე გასული სამი თვის განმავლობაში საქმიანობის გაუარესებით ბიზნესის მრავალ სექტორში. სხვა სექტორებთან შედარებით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სექტორებმა ყველაზე პესიმისტურად შეაფასეს როგორც მიმდინარე საქმიანობა, ისე მოლოდინები. აღსანიშნავია, რომ საცალო ვაჭრობის სექტორი ყველაზე ოპტიმისტურად არის განწყობილი.

- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას ასახავს, 2018 წლის მეოთხე კვარტალში 10.2 პუნქტით არის შემცირებული.

- ბიზნესის ოპტიმიზმის ინდექსი მნიშვნელოვნად არის შემცირებული და 50.1 პუნქტს შეადგენს. მრეწველობის სექტორთან ერთად, საფინანსო და სოფლის მეურნეობის სექტორებმა ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიზნეს სექტორის შემცირებულ ოპტიმიზმში.

- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი მცირედით შემცირებულია, თუმცა ისევ მაღალია გასული წლის მოლოდინებთან შედარებით. მომსახურების და საცალო ვაჭრობის სექტორი მომდევნო კვარტალში კვლავ ფასების ზრდას მოელის.

- მოლოდინები და მიმდინარე საქმიანობა გაუარესებულია დიდი ზომის კომპანიებისთვის, ხოლო გაზრდილია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის.

- დიდი ზომის კომპანიებისათვის საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღუდველ ფაქტორად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და სამუშაო ძალა რჩება, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების უმეტესობა კი მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად კვლავ ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და მოთხოვნის სიმცირეს ასახელებს.

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპოდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA

ბიზნესის განწყობის ინდექსი

	კვ IV/18	ცვლილება
მცირე და საშუალო	14.7	8.0
დიდი	32.7	-8.1

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, წლიური ზრდა

სექტორი	კვ IV/18	ცვლილება
მრეწველობა	-38.2	-55.0
მშენებლობა	24.8	-12.4
ვაჭრობა	30.9	5.8
მომსახურება	50.7	2.3
სოფლის მეურნეობა	19.0	-10.7
საფინანსო სექტორი	15.9	1.3
სხვა	4.1	-13.5

დაბალი მოთხოვნა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ ბიზნეს საქმიანობის მთავარი შემზღუდველი ფაქტორებია. გამოკითხვაში მონაწილე 131 კომპანიიდან, დიდი ზომის კომპანიების 29%-მა და მცირე და საშუალო ზომის კომპანიების 30%-მა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა დაასახელა ბიზნეს საქმიანობის მთავარ შემზღუდველ ფაქტორად. მაშინ, როცა დიდი ზომის კომპანიების 6%-სა და მცირე და საშუალო ზომის კომპანიების 32%-თვის მოთხოვნის სიმცირე არის საქმიანობის მთავარი შემზღუდველი ფაქტორი.

ბიზნეს საქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები?
IV კვარტალი, 2018 წელი



ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA